ემ.თი.ეი.
მთის ტრასების სააგენტო

N 01/129
12/04/2024

129-02-2-202404121604

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის
უფროსს ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

თქვენი 2024 წლის 24 მარტის #6/17968 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „ემ თი ეი-მ“ განიხილა თქვენი წერილი, რომელი ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ნახპერცკში არსებული 46414 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, რომელიც მოიცავს როგორც N64.34.01.281 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ნაწილს, ასევე, დაურეგისტრირებელი 1257 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფრაგმენტს (ჯამში 46414 კვ.მ მიწის ნაკვეთი), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით პრივატიზების საკითხს.

გაცნობებთ, რომ შპს „ემ თი ეი“ არ არის წინააღმდეგი მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის პრივატიზებაზე, იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული კომპანიის მიერ განსახორციელებელი სამუშაოები არ იქნება წინააღმდეგობაში დამტკიცებულ გენგეგმასთან და სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ (გენ-გეგმის მიხედვით), დიდველისა და კოხტა-მიტარბის დამაკავშირებელ საბაგიროსა და სასრიალო ტრასების მშენებლობის პროცესთან.

ამასთანავე გაითვალისწინეთ, რომ პროექტი უნდა შეთანხმდეს შპს „ემ თი ეი-სთან“.

პატივისცემით,

ირაკლი ბურჭულაძე

დირექტორი
შპს ემ თი ეი

+995 591 508 838
info@mta.ski
mta.ski

მერაბ კოსტავას ქ. N70,
0171, თბილისი, საქართველო